ჯამი 1+4					424672.52
დღგ 18%					76441.053
სულ					501113.57

ქ.ზუგდიდი.ოქტომბერი.პროფსასწავლებელი
ხარჯთაღრიცხვა

N	სამუშაოების დასახელება	განზ.	რაოდ.	ერთეულის ფასი	ჯამი
1	ამორტიზირებული ხის იატაკის დემონტაჟი	კვ.მ	638	0.5	319
2	იატაკზე ახალი მოჭიმვის მოწყობა (ცემენტ-ქვიშის ხსნარით)	კვ.მ	2129	6.5	13838.5
3	იატაკზე ლამინირებული პარკეტის დადება ქვეშაფენით	კვ.მ	2129	20.2	43005.8
4	იატაკზე ლამინირებული პლინტუხის მოწყობა	გრ.მ	2341.9	3	7025.7
5	სანკვანძებში იატაკის მოპირკეთება მეტლახის ფილებით 10 სმ სიმაღლის მეტლახის პლინტუხების მოწყობით	კვ.მ	947	26.3	24906.1
6	სან. კვანძებში კაფელის მოწყობა 15 მეტრის სიმაღლეზე	კვ.მ	763	26.3	20066.9
7	სან. კვანძებში პლასმასის შეკიდული ჭერის მოწყობა	კვ.მ	336	16	5376
8	კიბისა და აივნების ლითონის მოაჯირების მოწყობა	მ	248	65	16120
9	აივნების მოპირკეთება მეტლახის ფილებით	კვ.მ	158	26.3	4155.4
10	არსებული ტიხრებისა მოხსნა	კვ.მ	180	0.8	144
11	10 სმ სისქის ტიხრების მოწყობა ნესტამძლე თაბაშირფუკოს ფილებით	კვ.მ	660	31.8	20988
12	ლითებისა და კედლების მონგრეული ნაწილების ამოშენება სამშენებლო ბლოკებით(200მმ.)	კვ.მ	220	23.4	5148
13	კედლების(400მმ.) ამონგრევა ლიობების მოსაწყობად	კვ.მ	64	2.97	190.08
14	კედლების ამონგრეული ნაწილის თავზე გამაგრების თვალსაზრისით მოსაწყობი ზღუდარისათვის №180X110X10 ლითონის კუთხოვანის ხარჯი	კვ.	1596	1.3	2074.8
15	კედლების ამონგრეული ნაწილის თავზე გამაგრების თვალსაზრისით მოსაწყობი ზღუდარისათვის AIII კლასის(20მმ დიამეტრის) ხარჯი	კვ.	190	1.4	266
16	შიგა კედლების შეღებვა ცემენტ-ქვიშის ხსნარით	კვ.მ	4215	6.5	27397.5
17	შიგა კედლების და ტიხრების დამუშავება ფითხით და შეღებვა წყალემულხიის საღებავით ორჯერ	კვ.მ	7025	4.8	33720
18	სანკვანძების კედლების დამუშავება და შეღებვა ზეთიანი საღებავით ორჯერ	კვ.მ	763	4.8	3662.4
19	ჭერის ბათქაშის ნაწილობრივი რემონტი (ცემენტ-ქვიშის ხსნარით)	კვ.მ	1277	6.5	8300.5
20	სადარბაზოს ორი კარის ბლოკის მოწყობა	კვ.მ	5	135	675
21	ჭერის დამუშავება ფითხით და შეღებვა წყალემულხიის საღებავით ორჯერ	კვ.მ	2129	5.3	11283.7
22	ხის კარის ბლოკების დაშლა	კვ.მ	68	0.4	27.2
23	ბინებში შესასვლელი მღვ კარის ბლოკების მოწყობა (ყრუ)	კვ.მ	120	115	13800
24	მღვ კარის ბლოკების მოწყობა ბინების შიდა ლიობებში (ჩამინული)	კვ.მ	140	105	14700
25	სანკვანძებში ლითონპლასტმასის კარის ბლოკების მოწყობა	კვ.მ	80	110	8800
26	ხის ფანჯრის ბლოკების დაშლა	კვ.მ	65	0.4	26
27	მეტალოპლასტმასის ფანჯრის ბლოკების მოწყობა ლიობებში, ნაგებურებების ამოღესით, თუნუქის საცრემლეებითა და ფანჯრის რაფებით (იგულისხმება აივანზე გასასვლელი კარებიც)	კვ.მ	410	115	47150
28	ფასადის კედლების შეღებვა ცემენტ-ქვიშის ხსნარით	კვ.მ	2009	6.5	13058.5
29	სახურავიდან თუნუქის ფურცლების მოხსნა ხის კონსტრუქციებიდან და დასაწყობება მათი ნაწილის შედგომაში გამოყენების მიზნით	კვ.მ	825	1.5	1237.5
30	სახურავის ხის კარკასის(დგარი,ნივნივა,შეფიცვრა და სხვა) მოწყობა თავიდან ნორმალური ქანობით(35გრადუსი) არსებული ხის კონსტრუქციებითა და 50% ახლების ჩამატებით	კვ.მ	1140	10	11400
31	თუნუქის სახურავის მოწყობა ადრე მოხსნილი თუნუქის ფურცლებით წყალჩამომეკანების გათვალისწინებით	კვ.მ	700	5	3500
32	ახალი თუნუქის სახურავის მოწყობა წყალჩამომეკანების გათვალისწინებით	კვ.მ	440	24	10560
ჯამი I					372922.58

2. ელმომარაგება					372922.58
1	სადენი Cu 5X4 მმ²				
2	სადენი Cu 3X4 მმ²	გ/მ	1800	5.456	9820.8
3	სადენი Cu 3X1.5 მმ²	გ/მ	720	3.476	2502.72
4	სადენი Cu 2X2.5 მმ²	გ/მ	1656	1.991	3297.096
		გ/მ	2484	1.186	2946.024

5	სადენი Cu 2X1.5 მმ ²	კ/მ	4416	1.186	5237.376
6	ორიანი როზეტი დამიწების კონტაქტით	ცალი	60	6.615	396.9
7	ერთიანი როზეტი	ცალი	120	4.8915	586.98
8	ორიანი როზეტი	ცალი	60	5.7825	346.95
9	ვარვარების ნათურა	ცალი	300	0.495	148.5
10	სანათების მომჭერი ხენდები (კლემნიკი)	ცალი	100	0.396	39.6
11	ჩამრთველი ერთი ღილაკით	ცალი	240	4.55	1092
12	ჩამრთველი ორი ღილაკით	ცალი	60	5.3865	323.19
13	სამონტაჟო კოლოფი	ცალი	480	0.8595	412.56
14	განმშტოებელი ყუთი	ცალი	600	0.9585	575.1
15	ბინის ელ. გამანაწილებელი ფარი	ცალი	60	20.61	1236.6
16	ავტომატური ამომრთველი 16 ა.	ცალი	120	9	1080
17	ავტომატური ამომრთველი 25 ა.	ცალი	180	10.935	1968.3
18	ავტომატური ამომრთველი 32 ა.	ცალი	120	22.32	2678.4
19	ავტომატური ამომრთველი 63 ა.	ცალი	60	28.26	1695.6
20	დიფერენციალური (გაჟონვის) რელე 63/0.03 ა.	ცალი	60	62.73	3763.8
21	კაბელის სამაგრი № 2 (ყუთი 100 ცალი)	ყუთი	171	3.465	592.9308
22	კაბელის სამაგრი № 3 (ყუთი 100 ცალი)	ყუთი	14	3.96	57.024
23	კაბელის სამაგრი № 4 (ყუთი 100 ცალი)	ყუთი	36	4.455	160.38
ჯამი 2					40958.8308

3. შიგა წყალსადენი					
1	პლასტმასის წყალსადენის მილი d=32	მ	80	5.355	428.4
2	პლასტმასის წყალსადენის მილი d=25	მ	60	2.088	125.28
3	პლასტმასის წყალსადენის მილი d=20	მ	170	1.674	284.58
4	მუხლი პლასტმასის 90° d=25	ცალი	110	0.414	45.54
5	მუხლი პლასტმასის 90° d=20	ცალი	105	0.414	43.47
6	მუხლი პლასტმასის შიდა ხრახნით 90° d=20	ცალი	200	1.566	313.2
7	პლასტმასის ვენტილი 20	ცალი	88	8.352	734.976
8	ქერო 32მმ	ცალი	36	1.044	37.584
9	ქერო 25მმ	ცალი	24	1.044	25.056
10	პლასტმასის გადაწყვენი 32/25	ცალი	17	0.522	8.874
11	იგივე 25/20	ცალი	15	0.522	7.83
12	პლასტმასის სამკაპი 32/20/32	ცალი	20	8.352	167.04
13	იგივე 25/20/25	ცალი	20	8.352	167.04
14	იგივე 20/20/20	ცალი	67	8.352	559.584
15	რეზინის შლანგი უნიტაზისთვის d=20 L-0.8	ცალი	46	5.22	240.12
16	ცხ. და ცივი წყლის შემრვევი საშხაპე d=20	კომპ.	42	41.76	1753.92
17	ჭურჭლის სარეცხი კრანი d=20	კომპ.	46	31.32	1440.72
ჯამი 3					6383.214

4. შიგა კანალიზაცია					
1	პლასტმასის კანალიზაციის მილი სქელკედლიანი d=150	მ	55	5.64	310.2
2	პლასტმასის კანალიზაციის მილი სქელკედლიანი d=100	მ	240	4.05	972
3	პლასტმასის კანალიზაციის მილი სქელკედლიანი d=50	მ	175	3.76	658
4	პლასტმასის მუხლი 90° d=150	ც	4	3.76	15.04
5	პლასტმასის მუხლი 90° d=100	ც	12	3.76	45.12
6	პლასტმასის მუხლი 90° d=50	ც	65	3.76	244.4
7	პლასტმასის მუხლი 45° d=150	ც	6	3.76	22.56
8	პლასტმასის მუხლი 45° d=100	ც	17	3.76	63.92
9	პლასტმასის მუხლი 45° d=50	ც	62	3.76	233.12
10	სამკაპი პლასტმასის 90° 150/100	ც	4	7.52	30.08
11	სამკაპი პლასტმასის 90° 100/100	ც	50	7.52	376
12	სამკაპი პლასტმასის 90° 100/50	ც	60	7.52	451.2
13	იგივე 50მმ	ც	25	7.52	188
14	სამკაპი პლასტმასის 45° 150/100	ც	6	7.52	45.12
15	სამკაპი პლასტმასის 45° 100/100	ც	15	7.52	112.8

16	სამკაპი პლასტმასის 45° 100/50	ც	52	7.52	391.04
17	გადამყვანი 100/50	ც	65	7.52	488.8
18	უნიტაზი სიფონით	კომპლ	46	135	6210
19	ნიჟარა (სამზარეულოსთვის)	კომპლ	42	71	2982
20	ხელსაბანი სიფონით	კომპლ	42	130	5460
21	ტრაპი	კომპლ	42	10.44	438.48
22	რევიზია 100მმ	ც	42	10.44	438.48
ჯამი 4					20176.36
5. ენტილატია					
1	პლასტმასის მილი კანალიზაციის (თხელკედლიანი) დ=150	მ	90	8.35	751.5
2	იგივე დ=100	მ	30	7.31	219.3
3	მუხლი პლასტმასის 90° 100მმ	ც	9	4.18	37.62
4	სამკაპი პლასტმასის 90° 150/100	ც	25	8.35	208.75
5	გადამყვანი 150/100	ც	9	7.31	65.79
ჯამი 5					1282.96
ჯამი 1+5					441723.945
დღე 18%					79510.3101
სულ					521234.255

ქ. ზუგდიდი. ოქტომბერი. პროფსასწავლებელის სახლი №1, №2
ხარჯთაღრიცხვა

1. გარე წყალსადენი					
1	არტეზიული ჭის მოწყობა $\Phi=17\text{მ}$ სც	მ	17	263	4471
2	არტეზიული წყლის ტუმბო $\Phi=37$, $\Phi=50\text{მ3/სთ}$	კომპლ.	1	630	630
3	ლითონის აეზი 2ტონიანი	ცალი	8	5.36	42.88
4	პლასტმასის წყალსადენის მილი $\text{დ}=40$	მ	20	3.5	70
5	პლასტმასის წყალსადენის მილი $\text{დ}=25$	მ	220	2.32	510.4
6	ვენტილი პლასტმასის $\text{დ}=32$	ცალი	16	8.33	133.28
7	სასოკი 32მმ	ცალი	16	0.41	6.56
8	რკინიდან პლასტმასზე გადაყვანი (ადაპტორი) 32/32	ცალი	16	0.41	6.56
9	მუხლი პლასტმასის 90° $\text{დ}=40$	ცალი	4	1.04	4.16
10	მუხლი პლასტმასის 90° $\text{დ}=32$	ცალი	18	1.04	18.72
11	ქურო 40მმ	ცალი	5	0.52	2.6
12	იგივე 32მმ	ცალი	35	0.41	14.35
13	სამკაპი პლასტმასის 90° 40/40	ცალი	5	0.41	2.05
14	იგივე 32/32	ცალი	10	0.41	4.1
15	ტრანშეის გათხრა მექანიზმით	მ3	30	3.15	94.5
16	იგივე ხელით	მ3	2.5	7.65	19.125
17	ქვიშის ბაღის მოწყობა მილის ქვეშ	მ3	6	20.79	124.74
18	გრუნტის უკუ ჩაყრა	მ3	28	3.15	88.2
19	ზედმეტი მიწის გატანა	მ3	2	7.2	14.4
ჯამი 1					6257.625

2. გარე კანალიზაცია					
1	პლასტმასის მილი 150მმ	მ	110	13.05	1435.5
2	იგივე 100მმ	მ	20	9.603	192.06
3	რკინა ბეტონის ჭა $\Phi=1000$ $\text{დ}=1000$	ც	1	198	198
4	რკინა ბეტონის ჭა $\Phi=1500$ $\text{დ}=1000$	ც	2	328.86	657.72
5	რკინა ბეტონის ჭის ძირი	/მ3	0.45	299.7	134.865
6	თუჯის ხუფი ჩარჩოთი	კომპლ.	3	447.3	1341.9
7	ტრანშეის გათხრა მექანიზმით	მ3	170	3.15	535.5
8	ქვიშის ბაღის მოწყობა მილის ქვეშ	მ3	14	20.88	292.32
9	იგივე ხელით	მ4	20	7.65	153
10	გრუნტის უკუ ჩაყრა	მ3	167	3.15	526.05
11	ზედმეტი მიწის გატანა	მ3	3	7.2	21.6
ჯამი 2					5488.515
ჯამი 1+2					11746.14
დღგ 18%					2114.3052
სულ					13860.445

სამუშაოების შესრულების ვადები / გეგმა გრაფიკი

8 (რვა) თვე



ტექნიკური პირობები

1. სამუშაოთა შემადგენლობა

სოფ. ოქტომბერში პროფ. სასწავლებლის საცხოვრებელ და სასწავლებელ კორპუსებში განთავსებული იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი ბინების რემონტი

პროექტი მოიცავს შემდეგ სამუშაოებს:

- დაზიანებული სახურავის მოხსნას და აღდგენას თუნუქით;
- არსებული ტიხრების მოხსნას და ახლების მოწყობას;
- ჭერის და კედლების შელესვას და შეღებვას;
- მეტალოპლესტმასის კარ-ფანჯრების მონტაჟს;
- სანიტარულ კვანძებში მეტლახის ფილების მოწყობას;
- იატაკის მოწყობას ლამინირებული პარკეტით;
- ხის კარებების მოწყობას;
- შიდა და გარე წყალსადენის და კანალიზაციის სისტემის მოწყობა-აღდგენას სანიტარულ კვანძში;
- შიდა ელექტრო სამონტაჟო სამუშაოებს;
- ფასადის აღდგენას;
- და სხვა მიმდინარე სარემონტო სამუშაოებს

სამუშაოებისთვის განხორციელებისთვის აუცილებელი აღჭურვილობა:

- სატვირთო მანქანა - 1 ცალი;
- შეღებვის აპარატი - 1 ცალი;
- პნევმატური ჩაქუჩი - 1 ცალი;

სამუშაოების შესრულების ვადები

სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლივობა შეადგენს 8 თვეს.

2. სამუშაო ადგილის მომზადება, გარემოს დაცვა

სატენდერო ობიექტის სამუშაო ადგილის გამოყოფა შემსყიდველის მოვალეობაა; მიმწოდებელი პასუხისმგებელია სამუშაოსათვის გამოყოფილი ადგილის გამოყენებაზე და სამუშაოს დასრულების შემდეგ გარემოს საჭირო და სათანადო აღდგენაზე;

მიმწოდებელი პასუხისმგებელია შეასრულოს სამუშაო უსაფრთხო და ეკოლოგიურად მისაღები გზით და ვალდებულია დაიცვას შემდეგი პირობები:

- უზრუნველყოს სამუშაო ადგილის ფარგლებში მდებარე ხეების და მცენარეების სიცოცხლისუნარიანობა;
- მინიმუმამდე დაიყვანოს მუშაობით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციის და მტვერის გავლენა;
- სამუშაოების დასრულების შემდეგ შემსრულებელი თავისი ძალებით და სახსრებით სამი თვის განმავლობაში ვალდებულია გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო მოწყობილობა-დანადგარებისაგან, მასალებისაგან, ღრობითი ნაგებობებისაგან და ა.შ;

3. სამუშაოთა შესრულების წესი

შესრულებულ სამუშაოთა მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად მოქმედი სამშენებლო ნორმების შესაბამისად, მიმწოდებელი ვალდებულია ჩაატაროს ლიცენზირებულ ლაბორატორიაში მასალების და კონსტრუქციების ხარისხის ყველა საკონტროლო ლაბორატორიული გამოცდები და შემოწმებები მათი გამოყენების ვარგისიანობაზე.

მასალები უნდა ინახებოდეს დახურული წესით, გარდა იმ მასალებისა, რომელიც ნორმების მიხედვით ინახება ღია ცის ქვეშ.

მიმწოდებლების მასალებს და კონსტრუქციებს უნდა ჰქონდეს პასპორტი ან სერტიფიკატი ასეთის არსებობის შემთხვევაში. მათი ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს სტანდარტებს, სამშენებლო ნორმებსა და კონტრაქტში მოცემულ სპეციფიკაციებს.

4. ნორმატიული დოკუმენტები

მუშაობის პროცესში მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები შეასრულოს მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მიხედვით;

5. სამუშაოთა წარმოების ჟურნალი

სახელშეკრულებო ობიექტზე მიმწოდებელი აწარმოებს სამუშაოთა წარმოების ჟურნალს ორ ეგზემპლარად, სადაც ყოველდღიურად იწერება შესრულებული სამუშაოების მოცულობა.

ტექნიკური ზედამხედველი ჟურნალში აღნიშნავს თავის შენიშვნებს და რეკომენდაციებს სამუშაოების მოცულობისა და ხარისხის შესახებ, ხოლო მათი არ არსებობის შემთხვევაში ტექნიკური ზედამხედველი ეთანხმება შესრულებული სამუშაოს მოცულობასა და ხარისხს, რასაც ადასტურებს ხელმოწერით.

ჟურნალში ჩაიწერება დეფექტების შესწორების, დავალებისა და გაფრთხილებების ვადები და ინფორმაცია მათი აღმოფხვრის შესახებ, რასაც ტექნიკური ზედამხედველი და მიმწოდებელი ხელმოწერით ადასტურებენ.

ხელშეკრულების საერთო პირობები

ხელშეკრულების საერთო პირობები წარმოადგენს სატენდერო დოკუმენტაციისა და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს. ის ატარებს ტიპიურ ხასიათს და უნდა იქნას გამოყენებული ყოველგვარი ცვლილებების გარეშე იმ მოცულობით, რა მოცულობითაც ეს შეესაბამება კონკრეტულ შესყიდვას.

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- 1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებულ ხელშეკრულებას, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
- 1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
- 1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომში „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
- 1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და ახორციელებს სამუშაოებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
- 1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. სტანდარტები

- 2.1 ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული სამუშაოები უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკურ პირობებში მითითებულ სტანდარტებს.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

- 3.1 ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში და/ან ტექნიკურ პირობებში უნდა იყოს მითითება თუ რა სახის შემოწმებები და გამოცდები სჭირდება შემსყიდველს და ასევე სად უნდა გაიმართოს ისინი. შემსყიდველმა წერილობითი სახით და თავისდროულად უნდა აცნობოს მიმწოდებელს, ამ მიზნებისათვის განკუთვნილი თავისი წარმომადგენლების შესახებ.
- 3.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და ხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების)

მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

3.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

3.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა ან სხვა ვალდებულებებისაგან.

4. სამუშაოს შესრულების პირობები

4.1 სამუშაოს შესრულება ხორციელდება მიმწოდებლის სატენდერო წინადადებაში ასახული გრაფიკის მიხედვით.

4.2 სამუშაოების შესრულების ვადებში ცვლილებების შეტანის შესაძლებლობისა და მისი შესრულების მიმდინარეობაზე შემსყიდველის ან მისი წარმომადგენლის მიერ კონტროლის საკითხები ასახულია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.

4.3 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს გრაფიკში ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

5. დაზღვევა (ამ მექანიზმის გამოყენების შემთხვევაში)

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია დააზღვიოს შესყიდვის ობიექტი და/ან მისი ნაწილები (ცალკეული ელემენტები, დანადგარები და წარმოების სხვა საშუალებები, ქონება, მიმწოდებლის და/ან სუბმიმწოდებლის პერსონალი და სხვა) ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში მითითებული მოთხოვნების შესაბამისად.

6. თანმდევი მომსახურება

6.1 მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით გათვალისწინებული თანმდევი მომსახურება, რომელიც დაკავშირებულია სამუშაოს შესრულებასთან და/ან შესყიდვის ობიექტის შემდგომ ექსპლუატაციასთან.

6.2 თანმდევი მომსახურების ღირებულება შედის ხელშეკრულების ფასში.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, თუ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

7.2 შესყიდვის ობიექტის მიღებისა და საბოლოო შემოწმების ადგილი, პირობები, ეტაპები და წესი ასახულია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.

7.3 შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

- 7.4 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული სამუშაოს მოცულობის და წუნდების მიზეზის მითითებით.

8. ანგარიშსწორება

- 8.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში მითითებული ფორმითა და ვადებში მიმწოდებლის წერილობითი მიმართვის საფუძველზე.
- 8.2 მიმწოდებლის წერილობით მოთხოვნას ანგარიშსწორების თაობაზე უნდა დაერთოს ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში მითითებული დოკუმენტაცია.

9. ანგარიშსწორების ვალუტა

- 9.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში (თუ მიმწოდებელი საქართველოს რეზიდენტია).
- 9.2 ანგარიშსწორება განხორციელდება სატენდერო დოკუმენტაციაში დაფიქსირებულ საანგარიშსწორებო ვალუტაში მისი ლართან მიმართებაში დაფიქსირებული კურსით.

10. ფასები

- 10.1 ხელშეკრულებაში მითითებული ფასების შეცვლა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი რამ გათვალისწინებულია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

- 11.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
- 11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
- 11.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
- 11.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. უფლებების გადაცემა

- 12.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

13. სუბკონტრაქტორები

- 13.1 მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის შესახებ, თუ ეს უკვე არ არის მითითებული სატენდერო წინადადებაში.
- 13.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.
- 13.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით არსებული მატერიალური ან სხვა ვალდებულებებისაგან.

14. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

- 14.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამოძწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
- 14.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

15. ხელშეკრულების შესრულების გარანტია (ამ მექანიზმის გამოყენების შემთხვევაში)

- 15.1 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი გარანტია გამოიყენება ნებისმიერი ზარალის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არასრული შესრულების გამო. (გარანტირების მექანიზმის გამოყენება სავალდებულოა თუ შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება აღემატება 1 000 000 ლარს და გარანტიის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 პროცენტს და არ უნდა იყოს 2 პროცენტზე ნაკლები). იმ გარემოებების ჩამონათვალი, რომელთა დადგომა გამოიწვევს მიმწოდებლისათვის გარანტიის დაუბრუნებლობას და აღნიშნულ გარემოებათა დადგომის გამო, შემსყიდველისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების მიზნით, საგარანტიო თანხის გამოყენების წესი განსაზღვრულია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.
- 15.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ შემსყიდველი ვალდებულია დაუბრუნოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.
- 15.3 მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

16. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

- 16.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები და გადახდის ვადები განსაზღვრულია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.
- 16.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

17. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

- 17.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:
- (ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია შეასრულოს სამუშაო ან მისი ნაწილი;
 - (ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.
- 17.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
- 17.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:
- ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
 - ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
 - გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;
 - დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;
- 17.4 ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

18. ფორს-მაჟორი

- 18.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
- 18.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული

შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

- 18.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებოდნენ ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

19. სადაო საკითხების გადაწყვეტა

- 19.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
- 19.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

20. გამოყენებული სამართალი

- 20.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

21. ხელშეკრულების ენა

- 21.1 ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი მაშინ მეორე ეგზემპლარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებად ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

22. შეტყობინება

- 22.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

22.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

23. გადასახადები და დაბეგვრა

23.1 უცხოური მიმწოდებელი პასუხს აგებს სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადების, ბაჟების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

23.2 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

შემსყიდველი

მიმწოდებელი

საქართველოს მუნიციპალური
განვითარების ფონდი
ქ. თბილისი, 0112, დ. აღმაშენებლის
გამზ. №150
ს/კ: 206 074 193
სს ბანკი რესპუბლიკას ცენტრალური
ფილიალი
კოდი: 220 101 757
ა/ა: 340 800 01

შპს "ბლოკ-ჯორჯია"

ქ. თბილისი 0194, მიცკევიჩის ქ.
№29ა
ს/კ: 211 362 461
სს "თი ბი სი ბანკი"
კოდი: 220 101 850
ა/ა: 102 467 429

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (3)

შემსყიდველი ხელშეკრულების კონტროლის განხორციელებაზე ტექნიკურ ზედამხედველად ნიშნავს ბ-ნ ვაჟა კირტავა, მგფ-ს სამუშაოთა ზედამხედველს.

ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლს ტექნიკური ზედამხედველი განხორციელებს შუალედურ კონტროლს პერიოდულად, კვირაში ერთხელ ტექნიკურ პირობების მე-5 მუხლში მითითებული წესის მიხედვით.

3. სამუშაოს შესრულების პირობები (4)

სამუშაოთა დაწყების თარიღია 2009 წლის 25 მაისი. სამუშაოები განხორციელდება თანდართული გეგმა-გრაფიკის მიხედვით.

სამუშაოთა დაგეგმილი დასრულების ვადაა 2010 წლის 25 იანვარი.

დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდი არის 365 დღე სამუშაოთა დასრულების შემდეგ.

ყოველ 15 დღეში ერთხელ (ან უფრო ადრე საჭიროების შემთხვევაში) მიმწოდებელმა უნდა წარუდგინოს ტექნიკურ ზედამხედველს შესათანხმებლად კალენდარული გრაფიკი, რომელიც ასახავს სამუშაოთა წარმოების თანამიმდევრობას და შესრულებულ სამუშაოთა ღირებულებას. გასული გრაფიკში ნაჩვენები იქნება თითოეული სამუშაოს ფაქტიური პროგრესი და ასევე შეგავლენა, რომელსაც ის იქონიებს დარჩენილი სამუშაოების ვადებზე, ღონისძიებების თანამიმდევრობის და სამუშაოთა ღირებულების ნებისმიერი ცვლილების ჩათვლით.

4. დაზღვევა (5)

მიმწოდებელი ვალდებულია დაწყების დღიდან სამუშაოს განხორციელების საბოლოო ვადის დასრულებამდე შემსყიდველისა და მიმწოდებლის ერთობლივი სახელით დააზღვიოს ობიექტი ქვემოთმოყვანილ თანხასა და ფრანშიზაზე:

- ა) მინიმალური სადაზღვევო დასაფარი თანხა ობიექტის დაზიანების კომპენსაციისათვის შეადგენს 1,036,208.27 ლარს (მაქსიმალური დასაკავებელი თანხა – 20,724 ლარი).
- ბ) მინიმალური სადაზღვევო დასაფარი თანხა მიმწოდებლის მანქანა-დანადგარების დაზიანების ან დაკარგვის შემთხვევაში შეადგენს 30,000 ლარს. (მაქსიმალური დასაკავებელი თანხა – 600 ლარი).
- გ) მინიმალური სადაზღვევო დასაფარი თანხები მესამე პირთა საკუთრების დაზიანებისათვის შეადგენს 200,000 ლარს. (მაქსიმალური დასაკავებელი თანხა – 4,000 ლარი)
- დ) მინიმალური სადაზღვევო დასაფარი თანხები მიმწოდებლის პერსონალის ტრამვისა და სიკვდილის შემთხვევაში შეადგენს 50,000 ლარს (მინიმუმ 5000 ლარს/კაცზე სამუშაოთა დაწყების თარიღიდან მათი დამთავრების თარიღამდე) და მესამე პირთა დაშავების ან სიკვდილის შემთხვევისათვის შეადგენს 50,000 ლარს.

5. თანმდევი მომსახურება (6)

არ გამოიყენება

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი (7)

ობიექტის მიღება-ჩაბარება ხორციელდება ერთიანად შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის სათანადოდ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

სამუშაოს დასრულების შესახებ კონტრაქტორის შეტყობინების წერილის მიღებიდან მაქსიმუმ 2 კვირის ვადაში შემსყიდველი ვალდებულია ჩაიბაროს ობიექტი და გააფორმოს მიღება-ჩაბარების აქტი. ამ შემთხვევაში სამუშაოს დასრულების ვადად ითვლება კონტრაქტორის შეტყობინების თარიღი.

მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დეფექტებზე პასუხისმგებლობისგან.

7. გარანტია - დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდი

დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდი შეადგენს 365 დღეს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების თარიღიდან.

8. ანგარიშსწორება (8)

წინასწარი (საავანსო გადახდა) შეადგენს ხელშეკრულების ღირებულების 20 პროცენტს. შემსყიდველი განახორციელებს წინასწარ ანგარიშსწორებას მიმწოდებელთან მიმწოდებლის მიერ იმავე ოდენობის თანხაზე საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემდეგ თანდართული ფორმის შესაბამისად; მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საავანსო საბანკო გარანტია უნდა იყოს ძალაში სამუშაოს შესრულების დასრულებამდე სანამ არ ანაზღაურდება წინასწარი გადახდა.

წინასწარი გადახდის თანხები ანაზღაურებული უნდა იქნეს მიმწოდებლისათვის განკუთვნილი გადახდებიდან პროპორციული თანხების დაკავებით, შესრულებულ სამუშაოებზე გადახდის გრაფიკის თანახმად. წინასწარი გადახდა არ იქნება გათვალისწინებული შესრულებული სამუშაოს ღირებულების, ცვლილებების, ფასების კორექტირების, საკომპენსაციო გარემოებების, პრემიების, ჯარიმების ღირებულებების შეფასებისას.

თვეში ერთხელ მიმწოდებელი წარუდგენს შემსყიდველს მის მიერ შესრულებულ სამუშაოთა უწყისს სამუშაოების ღირებულების ჩვენებით, ადრე შესრულებული სამუშაოებზე გადახდილი თანხის გამოკლებით. შემსყიდველი ამოწმებს მიმწოდებლის მიერ უწყისში შეტანილ სამუშაოთა მოცულობას და ღირებულებას. შემსყიდველი შესრულებული სამუშაოების ღირებულებას მიმწოდებელს გადაუხდის 28 დღის განმავლობაში უწყისის დამოწმების დღიდან. გადახდები გადასინჯული იქნება წინასწარი გადახდის და დასაკავებელი თანხების გათვალისწინებით.

შემსყიდველი დაუკავებს მიმწოდებელს თითოეული გადახდიდან გადასახდელი თანხს 5%-ს სამუშაოს მთლიანად დასრულებამდე. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ მიმწოდებელს დაუბრუნდება დაკავებული თანხის ნახევარი, ხოლო მეორე ნახევარი დაუბრუნდება მას დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდის გასვლის შემდეგ, მას შემდეგ რაც შემსყიდველი დაამოწმებს, რომ მის მიერ მითითებული ყველა დეფექტი გასწორებულია მიმწოდებლის მიერ დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდის დასრულებამდე. სამუშაოს მთლიანად დასრულების შემდეგ მიმწოდებელს შეუძლია შეცვალოს თანხის დაკავება უპირობო "მოთხოვნამდე" საბანკო გარანტიით.

გადახდები იწარმოებს უნაღლო ანგარიშსწორებით, მიმწოდებლის საბანკო ანგარიშებზე.

9. ფასები (10)

ფასების ცვლილება – არ გამოიყენება.

10. სუბკონტრაქტორები (13)

სუბკონტრაქტის გაფორმების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია წინასწარ შეათანხმოს შემსყიდველთან.

11. ხელშეკრულების შესრულების გარანტია (15)

ხელშეკრულების გაფორმებისთანავე მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს ხელშეკრულების შესრულების უპირობო გარანტიას ხელშეკრულების ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტის ოდენობით შემსყიდველისათვის მისაღები საფინანსო ინსტიტუტიდან, შემსყიდველისათვის მისაღები ფორმით. ხელშეკრულების შესრულების გარანტია ძალაში უნდა იყოს სამუშაოების დასრულების შემდეგ არანაკლებ 28 დღის შემდგომ თარიღამდე.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა (16)

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის და/ან დეფექტების აღმოჩენის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული კვირისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 1 (ერთი) პროცენტის ოდენობით.

იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო (17)

მხარეებს შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე, როდესაც:

- ა) მიმწოდებელი აჩერებს სამუშაოთა წარმოებას 20 დღეზე უფრო ხანგრძლივი დროით, მაშინ როდესაც ეს შეჩერება არ იყო ასახული სამუშაოთა გრაფიკში და არ იყო ნებადართული ტექნიკური დოკუმენტაციის მიერ;
- ბ) ტექნიკური დოკუმენტი ატყობინებს მიმწოდებელს სამუშაოთა შეჩერების თაობაზე და არ აუქმებს მას 20 დღის განმავლობაში;
- გ) ტექნიკური დოკუმენტი გამოსცემს შეტყობინებას, რომ რომელიმე დეფექტის აღმოუფხვრელობა წარმოადგენს ხელშეკრულების არსებით დარღვევას და მიმწოდებელი ვერ შესძლებს ამ დეფექტის გასწორებას ტექნიკური დოკუმენტაციის მიერ დასაბუთებულად დადგენილი დროის განმავლობაში;
- დ) მიმწოდებელი არ წარმოადგენს საჭირო გარანტიებს;

იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულება წყდება მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების არსებითი დარღვევების გამო, ტექნიკური დოკუმენტი გამოსცემს სერტიფიკატს, რომელშიც შეფასებულია შესრულებული სამუშაო და შეკვეთილი მასალები მიმწოდებლისათვის უკვე გადახდილი თანხების და დაუსრულებელ სამუშაოთა ღირებულების ნაწილის გამოკლებით. მიმწოდებელს ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო ჯარიმის სახით დაეკისრება შეუსრულებელი სამუშაოების ღირებულების 25%. სამუშაოთა დასრულების ვადის გადაცილების ჯარიმა არ იქნება გამოყენებული. თუ საერთო თანხა, რომელიც, ამ შემთხვევაში ერგება შემსყიდველს, აღემატება თანხას, რომელიც ერგება მიმწოდებელს, განსხვავება ჩაითვლება დავალიანებად, რომელიც დაფარული უნდა იქნეს მიმწოდებლის მიერ.